

თავფურცელი:

სკოლის დასახელება - სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვნის N3 საჯარო სკოლა

პროექტის სათაური- დაიცავი გარემო

განხორციელების ვადები - მარტი-აპრილი

პროექტის კავშირი ესგ-ს პრიორიტეტულ თემებთან:

- გარემოს დაცვა;

პროექტის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან: N 3, 6, 11-15.

პროექტის კავშირი ზოგადი განათლების შესახებ კანონთან

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

პროექტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები: მარგარიტა წეველიძე, ბელა ბლიაძე.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი - მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეები(50-60 მოსწავლე) და ადგილობრივი თემი,

I. პრობლემის დასაბუთება

2014 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის, „გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში“, შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობაში გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე დაბალია. მის ძირითად მიზეზად კი მიჩნეულია ამ სფეროში განათლებისა და ინფორმირებულობის დაბალი დონე, საზოგადოების დაბალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, მოტივაციის ნაკლებობა, მოსახლეობის მომხმარებლური დამოკიდებულება გარემოს მიმართ.

სამწუხაროდ ყოველდღიურად ვხვდებით თითქოსდა უდანაშაულო ფაქტებს, თუ როგორ ყრიან ბავშვები ქუჩებსა და ეზოებში სხვადასხვა უსარგებლო ნარჩენებს. ეს პრობლემა არ ეხება მხოლოდ მოსწავლეებს. ხშირად უფროსებიც არ აქცევენ ყურადღებას ამ საკითხს. სიგარეტის ნამწვავები, ცარიელი პლასმასის თუ მინის ბოთლები, კანფეტების ფუთები, პიკნიკის ნარჩენები სკვერებში, მდინარისა და ზღვის სანაპიროებზე, შემაშფოთებელ სურათს ქმნიან. ამას ემატება სხვა გარემოს დაცვითი პრობლემები, ავტომობილებისა და ქარხნების გამონაბოლქვები, წყლებში ჩაღვრილი მომწამლავი ნივთიერებები, გაჩეხილი ფერდობები, დამწვარი ტყეები, გადაშენების პირას მდგომი ცხოველები და სხვა. გარემოს დაბინძურებამ და გაუფრთხილებლობამ შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას დედამიწას და ადამიანებს.

პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, მოსწავლეთა ჩართულობით ჩავატარეთ კვლევა. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა აქვს თუ არა სკოლის მოსწავლეებს და მოსახლეობას გარემოს დაცვითი პასუხისმგებლობა, არიან თუ არა ინფორმირებული რამდენად დიდ გავლენას ახდენს დაბინძურება ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე. იციან თუ არა ნარჩენების მართვის შესახებ. კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა რომ მოსწავლეები და მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებული არიან გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, მათ არ იციან თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს მათმა ქმედებამ და რაზე შეიძლება აისახოს ყოველივე ეს.

გარემოსდაცვითი პრობლემების სიმძაფრემ სასკოლო საზოგადოებასა და თემში მიგვითითა ეკოლოგიური ცნობიერებისა და აზროვნების ამაღლებისათვის საჭირო ღონიძიებების დაგეგმვის მნიშვნელობის შესახებ.

მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ თავიანთი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ. საჭიროა ჩაუღრმავდნენ მდგრადი განვითარების პრინციპებს ამ კუთხით, რათა მივიღოთ საზოგადოება რომელიც მაგალითი იქნება სხვებისთვის.

ღონისძიებები, რომლებსაც ვგეგმავთ გამოიწვევს საგანთა ინტეგრაციას, რაც თავის მხრივ მასწავლებლებლების თანამშრომლობით განწყობას შეუწყობს ხელს.

საბოლოოდ მივიღებთ გარემოსდაცვითი კულტურით, თანამშრომლობითი უნარებით, გარემოსადმი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ სასკოლო საზოგადოებას და თემს.

II. პროექტის მიზანი და ამოცანები (რეალისტური, გაზომვადი, დროში მიღწევადი)

პროექტის მიზანი:

1. (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან): ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა: მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;
2. სასკოლო საზოგადოებაში და თემში გარემოსდაცვითი ცნობიერების, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა;
3. სასკოლო საზოგადოებაში და თემში მდგრადი განვითარების კომპეტენციების ჩამოყალიბება;
4. თანამშრომლობითი მიდგომის გაძლიერება სასკოლო საზოგადოებასა და თემში.

პროექტის ამოცანები:

- ფილმის ჩვენება , დისკუსია
- დასუფთავების აქციის ორგანიზება
- საინფორმაციო ბროშურების დამზადება და გავრცელება
- პოსტერების დამზადება
- ექსკურსია
- პლასტმასის შესაგროვებლად საჭირო მწვანე ყუთების განთავსება სკოლის ტერიტორიაზე.
- ნარჩენების შეგროვება
- ესეების კონკურსის ორგანიზება

III. სამიზნე ჯგუფები (ვისი პრობლემის მოგვარებას ცდილობთ და ვინ შეიძლება მიიღოს კიდევ სარგებელი)

პროექტის სამიზნე ჯგუფები: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, თემი.

მასწავლებლები: მასწავლებლები აღიარებენ პრობლემას და გამოთქვამენ მზაობას ყველა საჭირო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

მოსწავლეები: ასკვნიან, რომ მათი წვლილი მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაში და მასწავლებელთა და მშობელთა საქმიანობაც ამ მიმართულებით მათი ინტერესებიდან გამომდინარეობს.

მშობლები: პირველადი კომუნიკაციის შედეგად ირკვევა, რომ ისინი აცნობიერებენ პრობლემას და თვლიან, რომ მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია.

თემი: გაიაზრებენ მათი დამოკიდებულების მნიშვნელობას გარემოს მიმართ. ეცდებიან იყვნენ მაგალითები მოსწავლეებისათვის.

IV. რისკების ანალიზი (საჭიროებისამებრ, ჩაამატეთ დამატებითი მწკრივები).

| რისკები | ალბათობა* | რისკის შემცირების სტრატეგია |
|---------|-----------|-----------------------------|
|---------|-----------|-----------------------------|

| | | | |
|------|--|---------|--|
| | | | |
| შიდა | <ul style="list-style-type: none"> ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის პრობლემა; | საშუალო | <ul style="list-style-type: none"> სკოლის რესურსების გამოყენება; |
| | <ul style="list-style-type: none"> მოსწავლეთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი; | მაღალი | <ul style="list-style-type: none"> მოტივაციის ამაღლების მიზნით მოსწავლეთა წახალისება; მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა; მოსწავლეებისთვის თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობის მიცემა; |
| | <ul style="list-style-type: none"> სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის დეფიციტი | საშუალო | <ul style="list-style-type: none"> მშობლების ინიციატივებისა და წინადადებების წახალისება; მშობელთა სურვილებისა და ინტერესების გამოკითხვა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მათი გათვალისწინება; სკოლაში მეგობრული და სტუმართმოყვარე ატმოსფეროს შექმნა; |
| გარე | <ul style="list-style-type: none"> მოსახლეობის ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი; | საშუალო | <ul style="list-style-type: none"> მოსახლეობისთვის დასუფთავებული გარემოს შეთავაზება მოსახლეობის დაინტერესება ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობის პროცესით. |

V.სამოქმედო გეგმა

| ეტაპი | აქტივობა (საქმიანობა / მოქმედება) | ვადები | რესურსები | | დადასტურება | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---------------------|---|--------|----------------------------------|------------------------|---------------------------------------|-------------------------|----------|
| | | | ადამიანური | მატერიალური | | | |
| მოსამზადებელი ეტაპი | სკოლის პროექტის მართვის ჯგუფის შექმნა და შეხვედრების განრიგის გაწერა. | მარტი | მასწავლებლები | ინტერნეტი, კომპიუტერი, | შეხვედრების განრიგი | პროექტის ხელმძღვანელები | |
| | სამიზნე ჯგუფის შერჩევა და პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება | მარტი | სასკოლო საზოგადოება | ინტერნეტი, კომპიუტერი | პროექტის სამოქმედო გეგმა. ფოტომასალა. | პროექტის ხელმძღვანელები | |
| | ადგილობრივი თემის გამოკითხვა, ინფორმირებულობის დონის | მარტი | მოსწავლეები; მასწავლებლები, თემი | მოკვლევის კითხვარი | კითხვარი თემისთვის | პროექტის ხელმძღვანელები | |

| | | | | | | | |
|-------------|---|-------|----------------------------------|----------------------------------|--|-------------------------|--|
| | დადგენა და აქედან გამომდინარე საჭიროებების განსაზღვრა. | | | | ფოტომასალა. დანართი 1 | | |
| ინტერვენცია | სამიზნე ჯგუფის ვიზიტი, ექსკურსია ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანა „ტენეში“, სადაც ისინი გაეცნობიან ნარჩენების მართვის გზებს. | მარტი | მოსწავლეები; მასწავლებლები, თემი | სატრანსპორტო საშუალება | ფოტომასალა | პროექტის ხელმძღვანელები | |
| | ანიმაციების ჩვენება გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით: „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“, და „MAN“. მოხდება განხილვა და საფრთხეების შეფასება, ანიმაციების საფუძველზე მოსწავლეები დაამზადებენ ბუკლეტებს. | მარტი | მოსწავლეები, მასწავლებლები | პროექტორი, ლეპტოპი, კვების ბლოკი | ფოტო და ვიდეო მასალა. ანიმაციის ლინკები: https://www.youtube.com/watch?v=eU6j-4QwGVY . https://www.youtube.com/watch?v=WfGMYdalCIU | პროექტის ხელმძღვანელები | |

| | | | | | | | |
|---|--------|---------------------|---|---|--------------------------------------|--|--|
| | | | | | ბუკლეტი დანართი 2 | | |
| მოსწავლეები გარემოს დაცვითი, ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით მოამზადებულ საინფორმაციო ბუკლეტებს გაავრცელებენ მოსახლეობაში. | აპრილი | მოსწავლეები | ბუკლეტის დამზადებისთვის საჭირო ტექნიკური მხარდაჭერა | ფოტო-ვიდეო მასალა დანართი 3 | ბ.ბ. | | |
| მოსწავლეები, სასკოლო თემში გარემოს დაცვითი ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით დაამზადებენ პოსტერს გარემოს დაცვის თემაზე და განათავსებენ სკოლის ფოიეში. | აპრილი | მოსწავლეები | პოსტერის დამზადებისთვის საჭირო მასალა | ფოტო მასალა დანართი 4 | ბ.ბ. | | |
| მერვე და მეცხრე კლასის მოსწავლეები წერენ ანალიტიკურ ესეს „ ადამიანი და გარემო " ესეებს ასწორებს მასწავლებლებისგან შემდგარი კომპეტენტური ჟიური და გამოავლენს 3 საუკეთესო ნამუშევარს , რომელთაც გადაეცემათ სერტიფიკატები. | აპრილი | მოსწავლეები, ჟიური. | რვეული, საწერკალამი | ესეები, სერტიფიკატები. დანართი 5 | მარგარიტა წეველიძე | | |

| | | | | | | |
|---|--------|--|---|---|-------------------------|--|
| დასუფთავების აქციის ორგანიზება, რომლითვისაც ადგილობრივ თვითმმართველობას ვთხოვთ გამოგვიყოს შესაბამისი ინვენტარი. | აპრილი | პროექტის ხელმძღვანელები, სასკოლო საზოგადოება, თემი, ადგილობრივი თვითმმართველობა. | ნაგვის პარკები, ხელთათმანები | ფოტომასალა | პროექტის ხელმძღვანელები | უამინდობის გამო აღნიშნული აქტივობა განხორციელდა მაისში |
| ადგილობრივ თვითმმართველობას მივწერთ წერილს სკოლის ტერიტორიაზე მწვანე ყუთის შექმნისა და განთავსების თაობაზე. | აპრილი | პროექტის ხელმძღვანელები | წერილი | ფოტომასალა დანართი 7 | მარგარიტა წეველიძე | |
| პროექტის ხელმძღვანელები სამიზნე ჯგუფთან ერთად მოამზადებენ პრეზენტაციას და წარადგენენ სასკოლო საზოგადოების წინაშე. | აპრილი | ადგილობრივი თვითმმართველობა, ადმინისტრაცია, მოსწავლეები; მასწავლებლები, თემი. | პროექტორი, ლეპტოპი, კვების ბლოკი, საპრეზენტაციო მასალები. | ფოტო და ვიდეომასალა | პროექტის ხელმძღვანელები | განხორციელდა მაისში |
| საბოლოო მონიტორინგი | აპრილი | მასწავლებლები, მოსწავლეები. | მონიტორინგის ფორმა | შევსებული კითხვარი დანართი 9 | პროექტის ხელმძღვანელები | განხორციელდა მაისში |
| | | | | | | |

VI. მონიტორინგის, შეფასებისა და უკუკავშირის გეგმა

| N | მონიტორინგის ფორმა | ინსტრუმენტი | დადასტურება | შეფასება, უკუკავშირი |
|---|---|---|-------------------------------|-------------------------|
| 1 | პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი. | დაკვირვების ცხრილი შეფასების კრიტერიუმებით. | შევსებული დაკვირვების ცხრილი. | ანალიზი/ რეკომენდაციები |
| 2 | გამოკითხვა/ინტერვიუ(მოსწავლეების) მასწავლებლის თვითრეფლექსია | კითხვარები | შევსებული კითხვარები | ანალიზი/ რეკომენდაციები |

VII. აქტივობების განხორციელების კალენდარი

| N | თემა | კლასი | პასუხისმგებელი პირი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | შენიშვნა |
|---|-------------------------|-------|-------------------------|-------|--------|-------|--------|--------|----------|
| | სკოლის პროექტის მართვის | | პროექტის ხელმძღვანელები | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|--|---|----------------------------|-------------------------|--|--|--|--|--|--|
| | ჯგუფის შექმნა და შეხვედრების განრიგის გაწერა. | | | | | | | | |
| | სამიზნე ჯგუფის შერჩევა და პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება | VIII-IX კლასის მოსწავლეები | პროექტის ხელმძღვანელები | | | | | | |
| | ადგილობრივი თემის გამოკითხვა, ინფორმირებულობის დონის დადგენა და აქედან გამომდინარე საჭიროებების განსაზღვრა. | VIII-IX კლასის მოსწავლეები | პროექტის ხელმძღვანელები | | | | | | |
| | სამიზნე ჯგუფის ვიზიტი, ექსკურსია ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანა „ტენეში“, სადაც ისინი გაეცნობიან | VIII-IX კლასის მოსწავლეები | პროექტის ხელმძღვანელები | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|--|--|----------------------------|-------------------------|--|--|--|--|--|--|
| | ნარცენების მართვის გზებს. | | | | | | | | |
| | ანიმაციების ჩვენება გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით. მოხდება განხილვა და საფრთხეების შეფასება, ანიმაციების საფუძველზე მოსწავლეები დაამზადებენ ბუკლეტებს. | VIII-IX კლასის მოსწავლეები | პროექტის ხელმძღვანელები | | | | | | |
| | მოსწავლეები გარემოს დაცვითი, ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით მოამზადებულ საინფორმაციო ბუკლეტებს გაავრცელებენ მოსახლეობაში. | VIII-IX კლასის მოსწავლეები | ბ. ბ. | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|--|---|-----------------------------------|---------------------------|--|--|--|--|--|--|
| | <p>მოსწავლეები, სასკოლო თემში გარემოს დაცვითი ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით დაამზადებენ პოსტერს გარემოს დაცვის თემაზე და განათავსებენ სკოლის ფოიეში.</p> | <p>VIII-IX კლასის მოსწავლეები</p> | <p>ბ. ბ.</p> | | | | | | |
| | <p>მერვე და მეცხრე კლასის მოსწავლეები წერენ ანალიტიკურ ესეს „ ადამიანი და გარემო " ესეებს ასწორებს მასწავლებლები სგან შემდგარი კომპეტენტური ჟიური და გამოავლენს 3 საუკეთესო ნამუშევარს , რომელთაც</p> | <p>VIII-IX კლასის მოსწავლეები</p> | <p>მარგარიტა წეველიძე</p> | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|--|---|----------------------------|-------------------------|--|--|--|--|--|--|
| | გადაეცმათ სერტიფიკატები. | | | | | | | | |
| | დასუფთავების აქციის ორგანიზების მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობას ვთხოვთ გამოგვიყოს შესაბამისი ინვენტარი. | VIII-IX კლასის მოსწავლეები | პროექტის ხელმძღვანელები | | | | | | მეტეოროლოგიურმა პირობებმა ხელი შეგვიშალა დასუფთავების აქცია დაგეგმილ ვადაში გაგვეხორციელებინა. |
| | ადგილობრივ თვითმმართველობას მივწერთ წერილს სკოლის ტერიტორიაზე მწვანე ყუთის შექმნისა და განთავსების თაობაზე. | VIII-IX კლასის მოსწავლეები | მარგარიტა წეველიძე | | | | | | |
| | პროექტის ხელმძღვანელები სამიზნე ჯგუფთან ერთად მოამზადებენ პრეზენტაციას და წარადგენენ სასკოლო | VIII-IX კლასის მოსწავლეები | პროექტის ხელმძღვანელები | | | | | | პროექტი დასკვნით ეტაპზეა, დარჩენილია დასუფთავების აქცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან და თემის წარმომადგენლებთან ერთად. რომლის შემდეგაც პროექტს შევაჯამებთ და |

| | | | | | | | | | |
|--|----------------------|--|--|--|--|--|--|--|----------------------------------|
| | საზოგადოების წინაშე. | | | | | | | | წარვუდგენთ სასკოლო საზოგადოებას. |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |

VIII. ბიუჯეტი (ნიმუში)

| ბიუჯეტის მუხლი | ერთეული | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ფასი | სკოლის მიერ გაწეული თანადაფინანსება (ლარი) | სხვა წყაროების მიერ თანადაფინანსება) |
|-----------------------|--------------|--------------------|---------------|--|---------------------------------------|
| A. აღჭურვილობა | | | | | |
| 1. მწვანე ყუთი | ცალი | 4 | 100 | 0 | 0 |
| 2. ხელთათმანები | ცალი | 60 | 1,5 | 0 | 0 |
| 3. ნაგვის პარკები | ცალი(შეკვრა) | 5 | 5.6 | 0 | 0 |
| ჯამი | | | 518 | | |

პროექტის ბიუჯეტის მთლიანი თანხის გაზრდის შემთხვევაში ბიუჯეტი საჭიროებს ურთიერთშეთანხმებას.

IX. მოსალოდნელი შედეგები


ამაღლებს ცნობიერება გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების კომპეტენციების კუთხით; გაიზრდება მოსწავლეთა ჩართულობა გარემოსდაცვით საკითხებში; განუვითარდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა; გაძლიერდება თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოებასა და თემს შორის.

X. პროექტის მდგრადობა


პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს პროექტის მდგრადობას, კერძოდ:

- ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და მდგრადი განვითარების კომპეტენციების დანერგვას სასკოლო საზოგადოებაში.
- პროექტის ფარგლებში შექმნილი და მატერიალური პროდუქტი: პლაკატები, ბუკლეტები, გამოყენებული ვიდეო-რგოლები და სხვა იქნება ერთგვარი მასალა პედაგოგებისთვის, რომლებსაც გამოიყენებენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობისას.
- პროექტის მდგრადობას, ასევე განაპირობებს სკოლასა და თემს, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობას შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება.
- სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული მწვანე ყუთი ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებაში ნარჩენების შეგროვების ტრადიციის დანერგვას; დაბალი ასაკობრივ ჯგუფებში ამ კუთხით ცნობიერების ამაღლებას; გაუჩინთ სურვილს მოსწავლეებს მსგავსი ქმედება დანერგონ საკუთარ სახლებში: ეს იქნება ჯართი, მაკულატურა, პლასტმასის თუ მინის ბოთლები და სხვადასხვა მასალები.

დანართი 1



დანართი 2



დანართი 3

ბუნების დაცვა და ნარჩენების გადამუშავება ჩვენ პლანეტის შენარჩუნების ორი კრიტიკული ასპექტია. ნარჩენების შემცირებით და ბუნებრივი რესურსების დაცვით, ჩვენ შეგვიძლია გავიუმჯობესოთ მომავალი



გარემოს დაცვა ეხება დაბინძურების შემცირების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და მდგრადობის ხელშეწყობის კმედებებს. ნარჩენების დამუშავება გულისხმობს ნარჩენი მასალების გარდაქმნას გამოსაყენებელ პროდუქტად ან ენერჯის წყაროდ.



წეროვნის N3
საჯარო სკოლა

დავიცვათ
გარემო
ერთად!

ნარჩენების რეციკლირება (გადამუშავება), ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მთავარ კომპონენტად ითვლება და გულისხმობს გამოყენებული ნივთის ტექნოლოგიურ გადამუშავებას სხვა.




ნარჩენების არასწორი მართვა იწვევს დაბინძურებას, ზიანს აყენებს ეკოლოგიურ ბუნებას და აზიანებს ეკოსისტემებს. ამის საპირისპიროდ, ნარჩენების ეფექტურ გადამუშავებას შეუძლია ნარჩენების გადაქცევა ახალ პროდუქტად ან ენერჯის წყაროდ, რაც ამცირებს ახალი ნედლეულის საჭიროებას.



ერთი კვლევის ქვეყნებში 2003 წლიდან მოქალაქეებმა დახარისხებულნი არიან, დახარისხებულნი კომპრეტული 7 სახის ნარჩენი და გააგზავნიონ ისინი შესაბამის ადგილებში რეალოკაციისთვის. ის მასალებია: ალუმინი, მლახი, მინა, ქაღალდი, პლასტმასი, ფოლადი და ხის ნაკეთობა. ისეთი მიდგომის მიზანია ნარჩენების მართვის შედეგად ადამიანებმა მიიღონ მაქსიმალური პრაქტიკული სარგებელი და მინიმალური ზიანი მიიღონ გარემოს.

ნარჩენების ენერჯად გარდაქმნის საუკეთესო მაგალითია ნაგავსაყრელებიდან გამომდინარე ენერჯია, რომელიც დასახლებული პუნქტების ცენტრალური გათბობისათვის და ელექტრო-ენერჯის

მისაღებად შეიძლება გამოიყენოს. უნიკალური რამეა ბიომეტიანი ნარჩენების თერმოლიზაცია, ან დაწვა, ანთროციპრობა, თუკი ამის შედეგად არ გამოიყოფიან სასარბილო ინერჯია.



სამწუხაროდ საქართველო განვითარების ამ საფეხურზე არ დაგას. ჩვენთვის უკრ კიდევ უცხოა ნარჩენების დახარისხება, რაც ადრე თუ გვიან აუცილებლად მიგვიყვანს სავალალო შედეგებამდე, თუმცა მაინც შეგვიძლია გადავდგათ ნაბიჯები, რომლებიც



მეტნაკლებად გააუმჯობესებს ჩვენს ყოფას. მაგალითად: არ დაგანაგვიანოთ ჩვენთვის საარსებო გარემო, შეძლებისდაგვარად შევამციროთ პლასტმასისა და პოლიეთილენის პარკების მოხმარება. ჩავაბაროთ მკლავს მკლავს და პლასტმასი

მოსალოდნელი საფრთხეები

მსოფლიოში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც უმთავრესად კლიმატის ცვლილებებითაა გამოწვეული.

გაეროს მონაცემებით:

- ყოველწლიურად მსოფლიოში 600-მდე სტიქიური მოვლენა ხდება
- 200 მილიონზე მეტი ადამიანი ზარალდება.
 - ეკონომიკური დანაკარგები კი 100 მილიარდ დოლარს აღწევს.
- ეკომიგრანტების რაოდენობა 25 მილიონს აღწევს.
 - 2050 წლისთვის ეკომიგრანტთა რაოდენობა 200 მილიონამდე გაიზრდება.


გარემოს დაცვა

გარემოს დაცვა წარმოადგენს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობის შენარჩუნებას და გარემოში არსებული დაზიანებების აღმოფხვრას

ეკოლოგია ბიოლოგიის ნაწილია, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს შორის ურთიერთკავშირებს, ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საცხოვრებელ გარემოს შეისწავლის.



გარემოსთან დაკავშირებული საფრთხეები



გარემოს დაცვასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა არსებობს: ტყეების გაჩეხვა, კლიმატის ცვლილება, ნაგავსაყრელები, რადიოაქტიური ნარჩენები და სხვა.

კლიმატის ცვლილება ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საფრთხეა, რაც კაცობრიობის წინაშე დგას. თუკი გარემოს ადგილობრივი პრობლემები დროულად არ აღმოიფხვრება, ის გლობალურში გადაიზრდება და ადამიანების ყოფაზე ცუდად აისახება. დღესდღეისობით მსოფლიოში დიდი რაოდენობით სანვავს მოიხმარენ, რის გამოც ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა იზრდება. ეს კი კლიმატის ცვლილების გამომწვევი ძირითადი ფაქტორია.



დანართი 4



აღმოსანი და გახედი

აღმოსანი და ბუნებას უსათუხოობა ჩვენს მანქანებზე
აღმოსანი გახედიან ღოღან იწყება. ძარღვებზე დასვენება
რისი ადამიანი ხშირად ბუნებას უმინსადიძებდა, ხოლო მის
სახსლებს, ^{უხედიან} წინაშე აყენებს და ვეცხი იმხელებს, რომ
გახედიან ვეცხი ბუნების ვადა, ადამიანს ახსებობის სხვა
ხედიან ან გააჩნია.

თი ხს ადამიანს ავადი ბაქსადი: „მეცხეობა გვასწავლის,
ახსებობს უკლორგოუხ ნიონსწიხობას უყრბობასთ
უხთაქებთი ახსება, რომელიც ნებისა თუ უბუნებლით ამ
წონსწიხობას ახრევეს ადამიანისა და თი ხს
ადამიანს ილია უკვუკვადი: „ბუნება უხედიანს და სოფილისა,
ჩვენს ფიქიით, უხთისა და იძუვე სთავიდა მთლისა,
თვი მეცხეამა ადამიანის ძახილსა, რომელსა სოფილი
თუ უხედილი მისევეს, მწიხელებს ვანსა მოვიღობება და
მინსა უღებინს ვანსა:“ მამსადი, ბუნება ადამიანის წმინდა,
ადამიანი ვი ბუნებისა თი სთადან მთლის მისი სხელი:
ღვადუნება, ღვადინა. ღვად ხომ იხ ადამიანის ვთხე
სოფილებზე ვაჩუქა და ამ ქვეყნად მოგვადიანა, ბუნება ვი
ამ წამუქს სოფილებზე ვიონსა ჩვენს. მამსადი, იხ
ჩვენს ძელი ღვად და ხადან ჩვენს ამ ქვეყნის ამ მინს
მევიღობი ვეკვიპა, მის წინაშე ჩვენს ვაქსიხთ მოვიღობებთ,
ხომღებოქ მინსთქად უნდა მეკახელოთ. სამწიხეათა, ხომ
გახედიან დაუვითი სეციხეზი თითგანვე ამუხებდა ჩვენს
წინამხეებს და ღვის ბი-ს სეკუნებზე ვხ მხოღედა ვიქვე უფიხ
აქსუარეხი ხედა. ჩვენს სამღებოუხოღ ღვის ვიქვე
მეკოჩჩენს ისთი ადამიანები, ხომღებსა ბუნების უკლორი
ისქვე ამუხებთ, ხომღე სეკუთხი. სწიხეღ სეკოთ

აღმოსანი თუ ვადვადი ჩვენს. ამ მხოღედა
თღთგანვე სეკინსებენ და მწიხენ მეკოქქობი ხომღელთ
ხეკედი ვადი და ვეუხეკია ხადან მეღობ, მთი
გუღისევილი ხა მე ბიღება მეუ ადამიანს ვასწოთ და
დაფიქონ ამ მხოღედიან ახსსა და მოგვსებინს ვხებზე,
ამის მსადილ მადილით მოთხხობები „იი“, „უსეკადი“ და
ვიქვე სხვა ხეხი. ხომღებზე ასახეკია იხ მწიკვე
ხეკლბა, ხაუ ღვის ჩვენს თვადინს ხედა. მოთხხობა
„უსეკადი“ ბუნების ქმნილება სეკილ დაბინძურებისკენ
სწიხეღ ადამიანს იხსა და სწიხეღ ამ ვადეკვითა,
ვეკოჩქა და ბუნებაზე მხეუველი ადამიანი უხთქანთს,
თუ ვადევიღებთ მთი სხელებში ჩვენს თავსა და ვინსხვით,
და იქილ ამის მეღებე მანს მინებებთ თუ ხომღი
მეკვიღი ჩვენ ყველამ უხთღ ვადეკვით ვხ მხოღედა.
„დაღ ხომ უხობსა“


მამსადი, ადამიანი და ბუნება თღთგანვე უხთქანთან
უხიღავი მადილ იყვენ და ვამუხებულნი, თუღვა სამუკიხს
განვითხედასთა ხეღ-ხეღ ვხ ვევილი, ღვი სოპინს
წინაშე ღვიღ ამ ყვეღეხის თავიღავი სწიხეღ
ადამიანთა. თუღეკოქღე მხ ღვიწყებთ ამ მხოღედაზე
ხეუვენს მადელთ იმ მახსსეკვი მეღეღიღე, ხომღისა
ყვეღას ახე ვეკვიღი. და ხადან ბუნება ამღებს აკუთხს
ჩვენს, ჩვენს ვადეკვიღნი ვიხ მის წინაშე მინსთღე
მოვიღობთ ჩვენს მოვიღობები.



დანართი 7



დანართი 9



სკოლის და თემის საჭიროებათა კვლევა - კითხვარი

სასკოლო საზოგადოებისა და თემის გამოკითხვა

2022-23 სასწავლო წელი

გარემოს დაცვის კუთხით, პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, მოსწავლეთა ჩართულობით ჩავატარეთ კვლევა. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა აქვს თუ არა სკოლის მოსწავლეებს და მოსახლეობას გარემოს დაცვითი პასუხისმგებლობა, არიან თუ არა ინფორმირებული რამდენად დიდ გავლენას ახდენს დაბინძურება ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე. იციან თუ არა ნარჩენების მართვის შესახებ. ყოველივე ეს დაგვეხმარება პრობლემის აქტუალობის დადგენაში და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

სწორედ, ამ მიზნით, 2022-23 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დასაწყისში წეროვნის #3 საჯარო სკოლის VIII-IX კლასის მოსწავლეთა მიერ განხორციელდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვნის მოსახლეობის გამოკითხვა. კითხვები ეხებოდა გარემოს დაბინძურებაზე და ნარჩენების გადამუშავებაზე მოსახლეობაში არსებული მოსაზრებების გამოკვლევას, ამ საკითხზე მათ დამოკიდებულებას და საკუთარი როლის გაცნობიერებას.

სამიზნე ჯგუფი: კვლევის ფარგლებში გამოიკითხა სოფ. წეროვანში მცხოვრები სხვადასხვა პროფესიის 20 ადამიანი.

სამიზნე ჯგუფის შერჩევა: არამიზნობრივი

კვლევის მიზანი: გარემოს დაბინძურების პრობლემის იდენტიფიცირება, მოსახლეობის ინფორმირებულობა ნარჩენების მართვის საკითხებში, მათ შორის ჩვენს დასახლებაში არსებული სხვადასხვა ტიპის ნარჩენის გადამამუშავებელი საწარმოს შესახებ. პრობლემის გადაჭრის გზების დაგეგმვა.


კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი: რაოდენობრივი მეთოდი, ანკეტირება დახურული და ღია კითხვებით.

კვლევის ეთიკა: კვლევა განხორციელდა ეთიკის ნორმების სრული დაცვით. კვლევა იყო სურვილისამებრ ანონიმური. მიღებული ინფორმაცია, კონფიდენციალურია და აღნიშნულ ინფორმაციას იღებს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელები შესაბამისი ამოცანების დაგეგმვის მიზნით. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. კვლევაში მონაწილეობისთვის, თითოეულ მოსწავლეს, გადაეცა ერთობლივად შედგენილი კითხვარი.


კვლევის მონაცემთა ანალიზი

ამ თავში, წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზი. მონაცემთა ანალიზი წარმოდგენილია ვიზუალური სახით, რომელსაც თან ახლავს კვლევის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებითაც დაიგეგმება პროექტი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-მა რესპოდენტმა.



1. კითხვაზე, არის თუ არა თქვენი დასახლება დანაგვიანებული? 82% პასუხობს - კი, 13% - არა.




2. კითხვაზე, იცი თუ არა რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოყვეს გარემოს დაბინძურებას? პასუხობენ:


- რა თქმა უნდა - მაგ. დაავადებების გავრცელება;
- ჰაერის დაბინძურება;
- კი. გარემოს დაბინძურება, ადამიანის ჯანმრთელობას აყენებს ზიანს;
- მესმის რომ ძალიან საზიანოა;
- ვიცი;
- გარემოს დაბინძურებამ შეიძლება ჰაერის დაბინძურებაც გამოიწვიოს. ეს საზიანოა ფლორა და ფაუნისთვის და ჩვენთვისაც;
- დიახ;
- გარემოს დაბინძურება ყველასათვის სახიფათოა, დაბინძურება ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას;
- კი;
- ბევრი უარყოფითი შედეგი, მათ შორის ერთერთი ჰაერის დაბინძურება
- დაბინძურებას ძალიან რთული შედეგები მოყვებან ნიადაგის, ჰაერის და ბოლოს ცოცხალ ადამიანებზე აისახება ცუდად;
- ვიცი, გარემოს დაბინძურება იწვევს ჰაერის, ნიადაგის, წყლის ქიმიური შედგენილობის ცვლილებას, რაც სიცოცხლისათვის არახელსაყრელია;

- გარემოს დაბინძურება უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე.

3. კითხვაზე მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა რომელიმე დასუფთავების აქციაში, „დიახ“ პასუხობს - 60%, „არა“ – 40%.



4. კითხვაზე, მიგიციათ თუ არა შენიშვნა დამნაგვიანებლისთვის, 85% მიუთითებს „დიახ“, 15% მიუთითებს რომ „არა“.



5. თვლი თუ არა რომ შენი ქალაქის/სოფლის სისუფთის დაცვა შენი მოვალეობაცაა?

- რა თქმა უნდა ჩვენი მოვალეობაცაა, დაბინძურებული გარემო ჩვენს ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება და ჩვენ აქ ვცხოვრობთ;
- რა თქმა უნდა;
- კი;
- დიახ, რადგან ჩვენი საცხოვრებელი გარემოცაა და ჩვენც უნდა გვაწუხებდეს;
- დიახ, ჩემი და ყველა ქალაქის/სოფლის მაცხოვრებლებისაც;
- დიახ;
- რა თქმა უნდა ეს ყველას მოვალეობაა;
- სისუფთავის დაცვა ყველასათვის სავალდებულოა;

6. კითხვაზე, რა გსმენიათ ნარჩენების მართვის შესახებ, პასუხობენ:

- ის, რომ მათი გადამუშავება უნდა მოხდეს შესაბამისი წესით;
- ვიცი რომ ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება ხდება;
- ცოტა რამ;
- გადამუშავება;
- კი;
- მსმენია რომ ნარჩენების მართვით ვიცავთ ბუნებას;
- მსმენია, ქალაქის, პლასტმასის;
- ნარჩენებს ვყრიან ნაგვის ურნებში;
- არსებობს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები, სადაც ნარჩენი გადამამუშავების შედეგად მეორად დანიშნულებას იძენს.
- სპეციალური სამსახურები უზრუნველყოფენ მათ გადამამუშავებას;
- არაფერი;
- არ მსმენია;
- ვიცი რომ არსებობს ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნები;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ახარისხებენ და ხდება გადამამუშავება;


7. კითხვაზე, რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენს სოფელში? არის თუ არა საკმარისი ნაგვის ურნები?

- საკმარისია მაგრამ ჯობია უფრო მეტი იყოს;
- ნაგვის ურნები არ არის საკმარისი;
- არის მაგრამ დამატება ჭირდება;
- არ არის;
- კი არის, მაგრამ ხალხი ყველგან ყრის ნაგავს;
- არ არის საკმარისი, ნაგავი უფრო მეტია. ურნები რომ საკმარისი იყოს ძირს არ იქნებოდა გადმოყრილი;
- საკმარისი არ არის, დაზიანებულებია;
- დიახ, არის;

- არ არის საკმარისი, უნდა იყოს ურნები სადაც შეგვეძლება ცალკე მოვათავსოთ სხვადასხვა ნარჩენი;
- თითქმის საკმარისია.


8. კითხვაზე, ხდება თუ არა თქვენ სოფელში/ქალაქში საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება?

10% აღნიშნავს „კი“, 25 % „არ ვიცი“, ხოლო 65% აღნიშნავს - „არა“.




9. კითხვაზე, სკოლის შენობაში არის თუ არა განთავსებული დახურული ნაგვის ურნები, 80% პასუხობს - „არის“, 10% - „არა“, 10% - „არ ვიცი“.

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვნის #3 საჯარო სკოლა



10. კითხვაზე: იცით თუ არა, სად მიაქვს ნაგვის მანქანებს თქვენი მუნიციპალიტეტიდან გატანილი ნაგავი და ხარისხდება თუ არა იგი, 90 % აღნიშნავს „არ ვიცი“, 10% ვიცი.



11. კითხვაზე, გსმენიათ თქვენ ქვეყანაში/ქალაქში/სოფელში ნარჩენების გადასამუშავებელი საწარმოს არსებობის შესახებ? ან თუ დაინტერესებულხართ ამ მიმართულებით უცხოური გამოცდილებით?

- კი, მსმენია;


- ვიცი რომ ასეთი ქარხნები არსებობს და გამიხარდება საქართველოშიც თუ დაინერგება მსგავსი პრაქტიკა;
- ქალაქის ქარხანა, „ტენე“-პლასტმასის გადამამუშავებელი;
- არ მსმენია;
- დიახ, ვიცი რომ ცემი საცხოვრებლის მიმდებარედ არსებობს მაკულატურის გადამამუშავებელი ქარხანა და კომპანია „ტენე“;
- კი, „ტენე“ - პლასტმასის გადამამუშავებელი;
- კი, მაგრამ არ ვარ დაინტერესებული;
- მსმენია, მაგრამ არ დავინტერესებულვარ;
- ვიცი რომ არსებობს ქალაქის ქარხანა;
- ასეთი საწარმოების შესახებ მსმენია;
- დიახ, ჩვენს დასახლებაში არის ქალაქის გადამამუშავებელი ქარხანა.

12. კითხვაზე, იცით თუ არა, რა საფრთხეს უქმნის დაუხარისხებელი ნაგავი და ნაგავსაყრელები გარემოს/ადამიანის ჯანმრთელობას, პასუხობენ:


- ვიცი;
- კი;
- დაუხარისხებელი ნაგავი და ღია ნაგავსაყრელები ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს;
- ნაწილობრივ ვიცი;
- რა თქმა უნდა ვიცი, ნაგავი და თან დაუხარისხებელი ძალიან დიდ საფრთხეს გვიქმნის;
- ჯანმრთელობისთვის საზიანოა;
- არ ვიცი;
- ბინძურდება გარემო;
- ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს აყენებს უდიდეს ზიანს;
- უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და აბინძურებს გარემოს;
- ვიცი, საფრთხე თვალსაჩინოა.

13. კითხვაზე, როგორ ფიქრობ მოსახლეობის/ბავშვების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაში რომელ ორგანიზაციას ეკისრება მეტი წილი პასუხისმგებლობა, 15% აღნიშნავს სკოლას, 5% ოჯახს, 20% არასამთავრობო ორგანიზაციებს, 35% სკოლას და ოჯახს, ორივეს მიიჩნევს, 25% კი სამივეს- სკოლას, ოჯახს და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვნის #3 საჯარო სკოლა



14. კითხვაზე, ისურვებდი თუ არა ამ კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებში/პროექტებში მონაწილეობის მიღებას, 80% აღნიშნავს „კი“, 0% აღნიშნავს „არა“, 20 % აღნიშნავს „დავფიქრდები“.



15. დამატებითი კომენტარი(სურვილის შემთხვევაში).

- ძალიან არ მომწონს როდესაც ხალხი ანაგვიანებს გარემოს და თან ამას გაუცნობიერებლად არ აკეთებს.
- გისურვებთ წარმატებებს!

დასკვნა

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა გარემოსდაცვითი პრობლემების სიმძაფრე სასკოლო საზოგადოებასა და თემში. მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა იცის თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია გარემოს მიმართ მხოლოდ მომხმარებლურ დამოკიდებულებას და მის მოუფრთხილებლობას. სურვილიც აქვთ ჩაერთონ მსგავს ღონისძიებებში, მაგრამ არ იციან როგორ. უმეტეს ნაწილს არ აქვს ინფორმაცია მეორადი გადამუშავების შესახებ, არ იციან რომ აქვე, მათ გვერდითაცაა ასეთი საწარმოები. როგორც აღმოჩნდა მათ დასახლებაში მწვავედ დგას როგორც ურნების, ასევე დასუფთავების ღონისძიებების გატარების საკითხიც, ნაგვის დროული გატანა იქნება თუ სხვა. ასევე დაბალია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, თუმცა კარგად იციან რომ ეს თითოეული ადამიანის პირდაპირი მოვალეობაა. როგორც მოსწავლეებმა, ასევე ზრდასრულებმა უნდა გაითავისონ თავიანთი პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ.

რეკომენდაცია

სასურველია სკოლა აქტიურად ჩაერთოს გარემოს დაცვით აქტივობებში. სწორედ ამან გვიბიძგა დაგვესახა ღონისძიებები, რომლებიც სასკოლო საზოგადოებასა და თემში ცნობიერების ამაღლებას შეუწყობდა ხელს, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას. საბოლოოდ კი მივიღებდით გარემოსდაცვითი კულტურით, თანამშრომლობითი უნარებით, გარემოსადმი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ სასკოლო საზოგადოებას და თემს. ამის საუკეთესო საშუალება კი ჩვენი მხრიდან მსგავსი პროექტების განხორციელებაა, რომლის მიზნებსა და მდგრადობაზე თავად პროექტის გეგმაში მოგახსენებთ.

პროექტის შუალედური და საბოლოო შეფასება:

| პროექტის მონიტორინგი/შეფასება | ვის მიერ | როდის | რა კრიტერიუმებით | შენიშვნა |
|-------------------------------|--|---|---|--|
| პირველი შუალედური მონიტორინგი | მასწავლებლის მიერ. | პოსტერის დამზადება თემაზე „ნარჩენების მართვა“ | აქტივობის განხორციელების პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი დანართი 1 | |
| საბოლოო შეფასება | მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექცია, მშობელი. | პროექტის დასრულების შემდეგ. | პროექტის რეფლექსია. | პროექტის დასრულების შემდგომ პროექტი შეფასდება შეფასების ინსტრუმენტით „კითხვარი“. |

დანართი 1

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი.

| დაკვირვების საგანი | კომენტარები |
|---|---|
| შედგა თუ არა თანამშრომლობა | დიახ |
| იყვნენ თუ არა მოსწავლეები მოტივირებულნი და რამ განაპირობა მოტივაცია | დიახ, საინტერესო აქტივობებმა, გასვლითმა ღონისძიებებმა. |
| აგრძელებდნენ თუ არა მოსწავლეები მუშაობას გაკვეთილების შემდეგ | დიახ, თუ ამის საჭიროება იყო |
| ჰქონდა თუ არა მათ შეხვედრებს პროექტის განხორციელებისას სისტემატური და საქმიანი ხასიათი. | დიახ, დიდი იყო ინტერესი, მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრებს და უთანხმებდნენ მოძიებულ მასალას. |
| იყვნენ თუ არა ჯგუფში პასიური მოსწავლეები და რა იყო მათი პასიურობის მიზეზი | ჯგუფის ყველა წევრი აქტიური იყო |
| იმოქმედა თუ არა პროექტის განხორციელების პროცესმა მათ შემდგომ მოტივაციაზე. | მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია პროექტის აქტივობამ, რამაც გაზარდა მათი შინაგანი მოტივაცია. |